

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 31 მაისის სხდომის

ოქმი №29

სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივანმა, პროფ. გიორგი სალუქვაძემ სენატის დასამტკიცებლად შემოიტანა ორი საკითხი: 1.სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ აღდგენის შესახებ. 2. „ბიოგენური იზოპრენის მიღების ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. ასევე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ქალბატონ თამარ რუსაძის განცხადების თაობაზე. აღნიშნული საკითხების შესახებ სენატის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი) 25 წევრს მიეწოდა ინფორმაცია და გამოკითხვის წესით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილებები.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივანმა, პროფ. გიორგი სალუქვაძემ წარუდგინა საკითხი სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ აღდგენის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 მაისის დადგენილება №938.

სენატმა გადაწყვიტა: აღსდგეს სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნოლოგიების„ გამოცემა, რომლის დამფუძნებლები არიან: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს საინჟინრო აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება.

ასევე, ეთხოვოს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აღნიშნული ჟურნალის ნორმალური ფუნქციონირების მიზნით აყვანილ იქნეს 2 უფროსი სპეციალისტი სახელმშეკრულებო პირობებით.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივანმა, პროფ. გიორგი სალუქვაძემ წარუდგინა საკითხი სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ბიოგენური იზოპრენის მიღების ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 მაისის დადგენილება №939.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ბიოგენური იზოპრენის მიღების ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი ქალბატონ თამარ რუსაძის განცხადების თაობაზე.

სენატმა გადაწყვიტა: დაკმაყოფილდეს მოქალაქე თამარ რუსაძის განცხადება და მის მიმართ შეწყდეს იძულებითი აღსრულების პროცესი. ამასთან, მოვალეს მიეცეს უფლება სასამართლოს მიერ მისთვის დაკისრებული თანხა დაფაროს ეტაპობრივად ორი წლის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივნისამდე.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე